

BAC 200

მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობასა და სხვა ობიექტებზე გამოსაყენებელი სადეზინფექციო ხსნარი

შემადგენლობა

1 მლ შეიცავს აქტიურ ნივთიერებებს: მეოთხეული შენაერთების ჯგუფის ალკილდიმეთილ ბენზალკონიუმის ქლორიდს 200 მგ. *დამხმარე ნივთიერებები:* მონოეთანოლამინი 0,21მგ, წყალი 1 მლ-მდე; ხსნარის pH 8,5 ±1,4

აღწერა: გამჭვირვალე ან ოდნავ ოპალესცირებული უფერო ან მოყვითალო ფერის სითხე, სუსტად სპეციფიური სუნით, შენჯღრევისას ქაფდება

დახასიათება

პრეპარატი მოქმედებს ბაქტერიციდულად და სპოროციდულად გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების (*Brucella spp.*, *Clostridium spp.*, *E. coli*, *Klebsiella spp.*, *Listeria spp.*, *Proteus spp.*, *Pseudomonas spp.*, *Salmonella spp.*, *Staphylococcus spp.*, *Streptococcus spp.*, *Bac. larvae*, *Bac. Altei*) მ.შ. ტუბერკულოზის აღმმგრელის მიმართ, ვირულიციდულად (ლიპიდშემცველი ვირუსების, მ.შ. ჰერპესის, იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივი)), ფუნგიციდურად (*Aspergillus spp.*, *Candida albicaus*, *Trichophyton spp.*, *Saccharomyces cerevisia*, *Ascosferius apis*), დეზინვაზიურად ნემატოდებისა და ეიმერიების ოოცისტების მიმართ.

გამოყენების ჩვენებები

გამოიყენება მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობასა და ვეტერინარულ ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სხვა ობიექტებზე სანიტარული დამუშავება (ზედაპირების წმენდა, რეცხვა), დეზინფექციისათვის.

მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმების, პროდუქციის რეალიზაციის ადგილების, ხორცისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოების, სასაკლაოების, ვეტერინარულ კლინიკებში, პატარა ცხოველების და ფრინველების შენახვის ადგილების, ბუნაგების, გალიების და სხვა ადგილების დასამუშავებლად, განსაკუთრებით მათი დეჰელმინთიზაციის შემდეგ.

ვეტერინარულ ზედამხედველობას დაქვემდებარებული სხვა ობიექტების სადეზინფექციოდ - ტექნოლოგიური და სანიტარული მოწყობილობები, ტრანსპორტი, ავზები, წყალმომარაგების სისტემები, ხელსაწყოები, დანადგარები და ა.შ.

დაავადებული ფუტკრის სკების, ჩარჩოების და სხვა მოწყობილობების სანიტარული დამუშავება (წმენდა), დეზინფექციისათვის ასკოფეროზის, ასპერგილოზის, სიდამპლეების, ნოზემატოზის, ვაროატოზის დროს.

გამოყენების მეთოდები

პრეპარატი გამოიყენება სამუშაო ხსნარების სახით, რომლებიც მზადდება კონცენტრატის არაქლორირებულ წყალთან შერევით. სადეზინფექციო ობიექტების ზედაპირების დეზინფექცია ხორციელდება საფუძვლიანი მექანიკური და სანიტარული გაწმენდის შემდეგ, ზედაპირები იწმინდება ჩვრით, ღრუბელით ან შესხურებით წვრილდისპერსული გამფრქვევით, სრულ დატენიანებამდე.

სამუშაო ხსნარები გამოიყენება შემდეგი კონცენტრაციებით:

- რძის გადამამუშავებელი მოწყობილობების, საკვებურებების, საწყურებლების სანიტარული დამუშავებისთვის (ცხოველების თანდასწრებით): განზავებული 10 მლ კონცენტრტი / 10ლ წყალზე (1:1000 შეფარდებით);
- შენობების, ინვენტარის პროფილაქტიკური დეზინფექციისათვის (ცხოველების თანდასწრებით), წყალმომარაგების სისტემების სანიტარული დამუშავებისათვის: 25 მლ/10ლ წყალზე (1:400);
- სასაკლაოების, გადამამუშავებელი და სავაჭრო ობიექტების, ლაბორატორიების, ვეტერინარული კლინიკების, სატრანსპორტო საშუალებების ასეპტიკური დასუფთავებისათვის, სამუშაო ტანსაცმლის გარეცხვამდე დასალბობად: 50 მლ/10ლ წყალზე (1:200);
- მეცხოველეობის შენობების გეგმიური დეზინფექციისათვის (სანიტარულ დასუფთავებებს შორის პერიოდში): 100 მლ/10ლ წყალზე (1:100);
- დეჰელმინთიზაციის შემდგომი დეზინვაზირებისათვის და ინფექციური დაავადებებით დასნებოვნებული ცხოველებისა და ფრინველების სადგომების სადეზინფექციოდ: 150 მლ /10 ლ წყალზე (1:65);
- დახურულ აუზებში ან წყალმომარაგების სისტემებში მწვანე წყალმცენარეების და სხვა მიკროორგანიზმების გამრავლების საპრევენციოდ (ხორციელდება კვირაში ერთხელ): 50 მლ/100 ლ წყალზე (1:2000);

მეფუტკრეობაში სამუშაო ხსნარები გამოიყენება შემდეგი კონცენტრაციებით:

- დაავადებული ფუტკრის ოჯახების სადებინფექციოდ: 25 მლ/ლ წყალზე (1:40) შეფარდებით;
- ჯანმრთელი და პირობითად ჯანმრთელი ფუტკრის ოჯახების გეგმიურ - პროფილაქტიკური დებინფექციისთვის: 15 მლ/ლ წყალზე (1:65);
- კეთილსაიმედო საფუტკრის გეგმიური და პროფილაქტიკური დებინფექცია გაზაფხული - შემოდგომაზე: 5 მლ/ლ წყალზე (1:200).

სკების, ფიჭიანი ჩარჩოების, საფუტკრე ინვენტარის დებინფექცია ტარდება +12°C-ზე მაღალ ტემპერატურაზე, სპეციალური შემასხურებლით მთლიანად ზედაპირების დასველებით.

ფუტკრის ოჯახების დებინფექცია ხორციელდება წელიწადში 2-ჯერ გაზაფხულისა და ზაფხულის შემოწმების დროს. სველი ჩვრით ან ღრუბელით იწმინდება სკების გარე და შიდა კედლები, ჩარჩოების ხის ნაწილი.

სიფრთხილის ზომები

პრეპარატთან კონტაქტში მყოფი პერსონალი უნდა იცავდეს ჰიგიენის და უსაფრთხოების წესებს, რომლებიც მიღებულია ვეტერინარულ პრეპარატებთან მუშაობის დროს.

- სამუშაო ხსნარი არ გამოიყენოთ ცხოველების, ფრინველების, ფუტკრის ოჯახების თანდასწრებით.
- მაღალი კონცენტრაციის მქონე ხსნარებმა შეიძლება გამოიწვიოს კანის გაღიზიანება, ამიტომ მათთან მუშაობისას უნდა გამოიყენოთ ერთჯერადი ხელთათმანები და პირბადე. განუზავებელი პრეპარატის კანზე მოხვედრისას ჩამოიბანეთ გამდინარე წყლით. თვალეში მოხვედრისას, ჩამოიბანეთ დიდი რაოდენობით გამდინარე წყლით და ჩაიწვეთეთ თვალის წვეთები.
- პრეპარატთან მუშაობის დროს აკრძალულია მოწევა, დალევა, საკვების მიღება.

შენახვის პირობები

ინახება მწარმოებლის შეფუთვით ბნელ, სინათლისგან დაცულ, კარგად ვენტილირებად ადგილას +1-დან 40°C-ზე

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი მწარმოებლის შეფუთვით, ქარხნული შეფუთვის გახსნის შემდეგ შენახვის პირობების დაცვით ინარჩუნებს მდგრადობას ვარგისიანობის ვადის ამოწურვამდე.

წყლით განზავებული სამუშაო ხსნარი დახურულ ჭურჭლში შენახვის პირობების დაცვით ვარგისია 14 დღე.

გამოშვების ფორმა

პრეპარატი დაფასოებულია ქარხნულად კონცენტრირებული ხსნარის სახით პოლიეთილენის ბიდონებსა (20ლ, 5ლ) და ბოთლებში (1 ლ ტევადობით) ან დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.

მწარმოებელი კომპანია: შპს „ბიოტექსი“, საქართველო